სამართლიანი ღირებულებები კატეგორიზებულია სხვადასხვა დონეზე სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, იმის მიხედვით, თუ რამდენად დაკვირვებადია შეფასების მონაცემები და მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების მონაცემების მნიშვნელობა:

- 1 დონეზე სამართლიანი ღირებულების შეფასება არის კოტირებული ფასებიდან (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზრებზე.
- სამართლიანი ღირებულების მე-2 დონის შეფასება არის ის, რაც მიიღება 1-ლ დონეზე შემავალი კოტირებული ფასების გარდა სხვა მონაცემებიდან, რომლებიც დაკვირვებადია აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის, პირდაპირ (ე.ი. როგორც ფასები) ან ირიბად (ანუ ფასებიდან გამომდინარე).
- სამართლიანი ღირებულების მე-3 დონის შეფასება არის შეფასების ტექნიკიდან მიღებული შეფასებები, რომლებიც მოიცავს აქტივის ან ვალდებულების შეფასებებს, რომლებიც არ არის დაფუძნებული საბაზრო დაკვირვებად მონაცემებზე (არადაკვირვებადი მონაცემები).

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, ფიზიკური ფორმის გარეშე.

თავდაპირველი აღიარება

არამატერიალური აქტივები, რომლებიც შეძენილია ჯგუფის მიერ და რომელთაც აქვთ განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადები, თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის საიმპორტო საბაჟო გადასახდელებსა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე და უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ ხარჯებს.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

პირველადი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივი აღირიცხება შეძენის ფაქტობრივ ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივის ამორტიზება იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, ანუ როდესაც იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია მისი გამოყენება ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

შპს „ინსტა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

პროგრამული უზრუნველყოფა

3 – 10 წელი

ლიცენზიები

1 – 10 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

არაფინანსური აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ინდიკაცია. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის ნარჩენ ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს, სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან.

ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფი აღრიცხავს ინვესტიციას შვილობილ საწარმოში თვითღირებულებით, რომელიც წარმოადგენს შვილობილი ჯგუფის კაპიტალს მისი ჯგუფისთვის გადმოცემის მომენტში.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი შეფასება. ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულების პირველადი შეფასება ხდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება თავისი არსით არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას ჯგუფისთვის. შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა:

- დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი;
- თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით.

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ჯგუფი ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალს ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

შემდგომი შეფასება. სავალს ინსტრუმენტების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავალს ინსტრუმენტები რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შემდგომი შეფასება ხდება გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი

შპს „ინსტა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას.

თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ჯგუფი დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური ფაქტორები ჩამოთვლილია ქვემოთ:

- დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები;
- ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მაგალითად, პროცენტის ან ძირითადის გადაუხდელობა, ან ვადაგადაცილება;
- ჯგუფი, დებიტორის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, დებიტორს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ შესთავაზებდა;
- როდესაც მოსალოდნელი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი; ან
- ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მათი საწყისი აღიარების შემდეგ, თუმცა ამგვარი შემცირების ოდენობის განსაზღვრა ჯგუფში შემავალი ცალკეული ფინანსური აქტივისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია. ამგვარ ნიშნებს განეკუთვნება, მაგალითად ქვეყნის ან რეგიონის არახელსაყრელი ეკონომიკური პირობები, ან დარგში მომხდარი არახელსაყრელი ცვლილებები.

გაუფასურების მაჩვენებელი შესაძლოა იყოს სხვა ფაქტორებიც, რაც აღწერილი არ არის ამ სააღრიცხვო პოლიტიკაში მაგრამ გულისხმობს ჯგუფისთვის უარყოფითი ეფექტის მქონე მნიშვნელოვან ცვლილებებს ტექნოლოგიურ, საბაზრო, ეკონომიკურ ან სამართლებრივ გარემოში, სადაც საწარმო ეწევა საქმიანობას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მიღებული თანხები. თუ თანხების მიღება ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია) არის მოსალოდნელი, ეს აქტივები მიმდინარე (მოკლევადიანი) აქტივებად აისახება. თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზირებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

ჯგუფი საექვო დებიტორული დავალიანების რეზერვს ითვლის ვადაგადაცილებულ დღეებზე დაყრდნობით. უზრუნველყოფის ცხრილი წარმოდგენილია ქვემოთ:

ვადაგადაცილებული დღეები	< 30	31 – 60	61 – 90	91 – 180	181 – 360	> 360
რეზერვის განაკვეთი	დღე	დღე	დღე	დღე	დღე	დღე
	0%	2%	10%	25%	50%	100%

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადახდილი აგანსები

საავანსო გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთ წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული

შპს „ინსტა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში. ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებს და მიღებულ ავანსებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება ან გაუქმება ან მოქმედების ვადა დასრულდება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი ჯგუფის წესდებით განისაზღვრება. ავტორიზებული კაპიტალის საწესდებო კაპიტალად აღიარება ხდება ჯგუფის საკუთარ კაპიტალში ჯგუფის მფლობელის მიერ განხორციელებული შენატანების ოდენობით.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

შემოსავლის აღიარება

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

შპს „ინსტა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ყველა სავალს ინსტრუმენტზე დარიცხვის საფუძველზე ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, როგორც საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი, აყოვნებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა მოსაკრებელს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ტრანზაქციის ხარჯებს და ყველა სხვა პრემიას ან ფასდაკლების განუყოფელ ნაწილს.

საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგებაში, თუკი წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური მოგების შემცირება, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯები აღარ იწვევს მომავალ ეკონომიკურ მოგებას, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს აქტივის ბალანსში აღიარების მოთხოვნებს. ჯგუფი თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

(ა) თანამშრომელთა ხელფასები და სხვა შეღავათები – დარიცხული ხელფასი, პრემიები და სხვა სარგებელი(დაზღვევა) ერიცხება იმავე საანგარიშოპერიოდში, როდესაც სრულდება შესაბამისი მომსახურება.

(ბ) იჯარა - საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით,

მიღებული სესხები

მიღებული სესხები აღიარდება მათი ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მიღებულ სესხებთან დაკავშირებული

ხარჯები აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, რა პერიოდშიც ეს ხარჯები წარმოიშვა.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტაა ლარი. უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ანგარიშგების თარიღისთვის გაცვლითი კურსის გამოყენებით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

გაცვლითი კურსები წარმოდგენილია ქვემოთ:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური	
	ვალუტის კურსი	
	დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 31 დეკემბერი 2022	2.7020	2.8844
გაცვლითი კურსი 31 დეკემბერი 2021	3.0976	3.5040
საშუალო გაცვლითი კურსი 31 დეკემბერი 2022	3.0640	2.9099
საშუალო გაცვლითი კურსი 31 დეკემბერი 2021	3.2209	3.8140

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადს ჯგუფი ადგენს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება, ხოლო რეინვესტირებული მოგება არ ექვემდებარება მოგების გადასახადს (გარდა სსკ-ის 981-ე და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. საქართველო). საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება გამოითვლება განაწილებული დივიდენდის თანხის 15/85-ით.

შპს „ინსტა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

საგადასახადო სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს ადარ აქვთ დროებითი სხვაობა საგადასახადო აქტივებს/ვალდებულებებსა და საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, ადარ წარმოიქმნება გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივები და ვალდებულებები.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი უნდა გადაიხადოს საგადასახადო ორგანოებს, როდესაც საქონელი და მომსახურება მიეწოდება მომხმარებელს. დღგ-ს ინვოისის მიღებისას შეყვანის დღე, როგორც წესი, ერიცხება გამომავალი დღგ-ს. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ დღგ-ს გადახდის წმინდა საფუძველზე. შესყიდვებთან და გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც ხდება დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღიარებულია მომავალი მთლიანი ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების რეზერვი მოითხოვს შეფასების და განსჯის ხარისხს. იგი ეფუძნება სიცოცხლის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით და აკეთებს ვარაუდებს თითოეული ჯგუფისთვის საერთო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთის გამოყოფისთვის. ეს ვარაუდები მოიცავს გაყიდვების ბოლო გამოცდილებას და ისტორიული შეგროვების მაჩვენებლებს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები. ჩვეულებრივ, ჯგუფი ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. განსჯა გამოიყენება იმის დასადგენად, არის თუ არა ტრანზაქცია საბაზრო ღირებულებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი მსგავსი ტრანზაქციისთვის.

შპს „ინსტა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

4. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღწურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმ.	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა	სულ
თვითღირებულება:										
31 დეკემბერი 2020	4,158,502	5,401,121	1,006,465	544,366	346,403	125,524	107,334	65,864	1,103,778	12,859,357
შემოსვლები	-	-	102,002	68,044	25,009	1,224	13,361	847	21,505	231,992
გასვლები	-	-	(278,365)	-	-	-	-	-	-	(278,365)
31 დეკემბერი 2021	4,158,502	5,401,121	830,102	612,410	371,412	126,748	120,695	66,711	1,125,283	12,812,984
შემოსვლები	-	2,717,358	76,549	-	50,086	62,881	-	-	1,545	2,908,419
გასვლები	-	-	(49,910)	(47,820)	-	-	-	(66,711)	(313)	(164,754)
31 დეკემბერი 2022	4,158,502	8,118,479	856,741	564,590	421,498	189,629	120,695	-	1,126,515	15,556,649
აკუმულირებული ცვეთა:										
31 დეკემბერი 2020	-	239,127	328,848	174,747	249,254	75,510	21,881	-	701,525	1,790,892
წლიური ცვეთა	-	396,835	63,097	44,257	28,177	14,923	-	-	135,841	683,130
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	(320)	-	-	-	-	-	-	(320)
31 დეკემბერი, 2021	-	635,962	391,625	219,004	277,431	90,433	21,881	-	837,366	2,473,702
წლიური ცვეთა	-	426,402	67,187	45,730	31,383	20,530	11,713	-	102,086	705,031
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	(21,910)	(22,610)	-	-	-	-	(24)	(44,544)
31 დეკემბერი, 2022	-	1,062,364	436,902	242,124	308,814	110,963	33,594	-	939,428	3,134,189
წმინდა საბალანსო ღირებულება:										
31 დეკემბერი 2020	4,158,502	5,161,994	677,617	369,619	97,149	50,014	85,453	65,864	402,253	11,068,465
31 დეკემბერი 2021	4,158,502	4,765,159	438,477	393,406	93,981	36,315	98,814	66,711	287,917	10,339,282
31 დეკემბერი 2022	4,158,502	7,056,115	419,839	322,466	112,684	78,666	87,101	-	187,087	12,422,460

შპს „ინსტა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

ჯგუფის აქვს სრულად ამორტიზებული ძირითადი საშუალებები ღირებულებით 1,366,083 ლარი.

2021 წლის 12 აგვისტოს დამოუკიდებელმა აუდიტორმა, შპს „ბიზნეს ინსაით“ ჯგუფმა “შეაფასა მიწის ნაკვეთები და შენობები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შეფასება განხორციელდა მსგავსი აქტივების საბაზრო ოპერაციების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვში ცვლილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	3,769,716	3,769,716
გადაფასების რეზერვის ცვლილება წლის განმავლობაში	-	-
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,769,716	3,769,716

თუ შენობა-ნაგებობების მიმართ გამოყენებული იქნებოდა თვითღირებულების მოდელი, საბალანსო ღირებულება აისახება შემდეგნაირად:

	შენობა-ნაგებობები	სულ
თვითღირებულება		
31 დეკემბერი, 2020	5,092,394	5,092,394
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი, 2021	5,092,394	5,092,394
შემოსვლა	2,717,358	2,717,358
გასვლა	-	-
31 დეკემბერი, 2022	7,809,752	7,809,752

აკუმულირებული ამორტიზაცია		
31 დეკემბერი, 2020	1,620,203	1,620,203
წლიური ცვეთა	201,257	201,257
31 დეკემბერი, 2021	1,821,460	1,821,460
წლიური ცვეთა	308,650	308,650
31 დეკემბერი, 2022	2,130,110	2,130,110

წმინდა საბალანსო ღირებულება:		
31 დეკემბერი 2020	3,472,191	3,472,191
31 დეკემბერი 2021	3,270,934	3,270,934
31 დეკემბერი 2022	5,679,642	5,679,642

5. საინვესტიციო ქონება

	მიწის ნაკვეთები	შენობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება				
31 დეკემბერი, 2020	3,477,267	1,395,073	-	4,872,340
შეძენა	-	-	2,702,761	2,702,761
გადაფასება	303,497	-	-	303,497
ჩამოფასება	-	(39,431)	-	(39,431)
31 დეკემბერი, 2021	3,780,764	1,355,642	2,702,761	7,839,167
შეძენა	-	-	-	-
გადაფასება	225,389	125,848	-	351,237
შიდა მოძრაობა	-	-	(2,702,761)	(2,702,761)
გასვლა	(2,342,776)	-	-	(2,342,776)
31 დეკემბერი, 2022	1,663,377	1,481,490	-	3,144,867

შპს „ინსტა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

წმინდა საბალანსო ღირებულება:

31 დეკემბერი 2020	3,477,267	1,395,073	-	4,872,340
31 დეკემბერი 2021	3,780,764	1,355,642	2,702,761	7,839,167
31 დეკემბერი 2022	1,663,377	1,481,490	-	3,144,867

ჯგუფი იჯარით აძლევს საინვესტიციო ქონებას, კონკრეტულად შენობებს, დამოუკიდებელ მხარეებს საბაზრო ფასით, ფიქსირებული განაკვეთის არაანაზღაურებადი საოპერაციო იჯარით. ჯგუფის არც ერთი იჯარა არ შეიცავს შესყიდვის პუნქტებს. ჯგუფის არ აქვს რაიმე სახის შეზღუდვა საინვესტიციო ქონების რეალიზაციასა და გადაცემაზე. ჯგუფიმ გააფორმა საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება 2022 წლის 1 ივლისს 3 წლის ვადით. საიჯარო შემოსავალი მიმდინარე და წინა საანგარიშო წელს შეადგენს, შესაბამისად, 102,661 და 71,683 ლარს.

საინვესტიციო ქონების გასხვისებიდან წმინდა მოგებასთან/(ზარალთან) შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 21.

საინვესტიციო ქონების სპეციფიკაციები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ქონების აღწერა	იურიდიული მისამართი	კვადრატული მეტრი
კომერციული ფართი	ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. #5	265
მიწა	ფოთი, რუსთაველის ქ. #15	121
ბინა	ფოთი, რუსთაველის ქ. #14	70,46
მიწა	მცხეთა, სოფელი ნატახტარი	24,947
მიწა	მცხეთა, სოფელი ნატახტარი	10,177
მიწა	მცხეთა, სოფელი ნატახტარი	10,469

6. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
თვითღირებულება			
31 დეკემბერი, 2020	142,438	157,351	299,789
შეძენა	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი, 2021	142,438	157,351	299,789
შეძენა	-	-	-
გასვლა	-	(1,038)	(1,038)
31 დეკემბერი, 2022	142,438	156,313	298,751
აკუმულირებული ამორტიზაცია			
31 დეკემბერი, 2020	133,969	57,863	191,832
ამორტიზაცია	6,605	12,213	18,818
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი, 2021	140,574	70,076	210,650
ამორტიზაცია	1,864	11,176	13,040
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი, 2022	142,438	81,252	223,690
წმინდა საბალანსო ღირებულება:			
31 დეკემბერი 2020	8,469	99,488	107,957
31 დეკემბერი 2021	1,864	87,275	89,139
31 დეკემბერი 2022	-	75,061	75,061

შპს „ინსტა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	8,537,588	8,703,614
გაუფასურების რეზერვი	(5,731,415)	(4,737,123)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,806,173	3,966,491

სავაჭრო მოთხოვნების საეჭვო ვალების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
გაუფასურების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	4,737,123	3,075,075
ზრდა წლის განმავლობაში	994,292	1,662,048
რეზერვის ამობრუნება	-	-
სულ გაუფასურების რეზერვი	5,731,415	4,737,123

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნების ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

	< 30 დღე	31 – 60 დღე	61 – 90 დღე	91 – 180 დღე	180 – 360 დღე	> 360 დღე	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	640,049	478,329	546,721	795,139	1,217,917	4,859,433	8,537,588
%	0%	2%	10%	25%	50%	100%	
სულ რეზერვი	-	9,567	54,672	198,785	608,959	4,859,433	5,731,415
სულ სავაჭრო მოთხოვნები	640,049	468,762	492,049	596,354	608,959	-	2,806,173

8. მარაგები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მარაგები	16,499,276	12,488,147
მოძველებული მარაგების ანარიცხი	(3,414,864)	(3,410,770)
სხვა	26,056	27,247
სულ მარაგები	13,110,468	9,104,624

მოძველებული მარაგების ანარიცხის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
მოძველებული მარაგების ანარიცხი 1 იანვრის მდგომარეობით	(3,410,770)	(3,192,709)
ზრდა წლის განმავლობაში	(966,836)	(1,096,350)
ანარიცხის ამობრუნება	962,742	878,289
სულ მოძველებული მარაგების ანარიცხი	(3,414,864)	(3,410,770)

9. გაცემული ავანსები

ჯგუფის გაცემული ავანსები წარმოადგენს სასაქონლო მატერიალური მარაგების შესაძენად მომწოდებლებზე გადახილ ავანსებს, რომელთა ჯამური ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის ბოლოს შეადგენს 2,663,017 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: 957,724 ლარი). ხელშეკრულების პირობების მიხედვით ინვენტარის მიწოდება ვადა საშუალოდ 1 თვეა.

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფულადი სახსრები სალაროში (ლარში დენომინირებული)	8,418	18,660
ეროვნული ვალუტა ბანკში	274,807	592,114
უცხოური ვალუტა ბანკში	539,653	1,148,515
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	822,878	1,759,289

შპს „ინსტა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

ფული ბანკში უცხოურ და ეროვნულ ვალუტაში განთავსებულია მიმდინარე ანგარიშებზე, რომლებიც წარმოადგენს უპროცენტო ანგარიშებს.

11. კაპიტალი

ჯგუფის 100% წილის მფლობელი არის გიორგი ბახსოლიანი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ჰქონდა 14,366 ლარის ღირებულების საწესდებო კაპიტალი (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 14,366 ლარი).

საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფიმ გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები, ასევე წინა პერიოდში დეკლარირებულიდან, შესაბამისად 18,156 და 584,211 ლარის ოდენობით. (2021: 1,000,035 ლარის გამოცხადება და 1,014,613 ლარის გადახდა).

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	-	336,704
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1,275,266	900,458
გადასახდელი ხელფასები	3,711	54,667
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,278,977	1,291,829

გრძელვადიანი ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს ვალდებულებას რომელიც წარმოქმნილი იყო შვილობილი ჯგუფის წილის შესყიდვის ოპერაციიდან. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული ვალდებულების ნაშთი შეადგენს 216 160 ლარს, რომელიც გადასახდელია 1 წლის განმავლობაში. მოკლევადიანი დავალიანება წარმოადგენს ვალდებულებებს მიმწოდებლების მიმართ საქონლის მიწოდებაზე.

13. მიღებული ავანსები

ჯგუფის მიღებული ავანსები წარმოადგენს კონტრაგენტებისგან საპროექტო-სამონტაჟო სამუშაოებისთვის წინასწარ გადახდილ თანხებს, რომელთა ჯამური ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის ბოლოს შეადგენს 3,536,707 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: 4,138,525 ლარს).

14. გასაცემი დივიდენდი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გასაცემი დივიდენდი წარმოადგენს 2021 საანგარიშო წელს გამოცხადებული დივიდენის აქტის საფუძველზე დარიცხულ ვალდებულებას.

15. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოიცავს სს „საქართველოს ბანკიდან“ 2022 წლის 20 ოქტომბრის აღებულ სესხს (ხელშეკრულების ნომერი – 8736133), 407 000 ევროს ოდენობით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული სესხის ბალანსი შეადგენს 125 296 ლარს. აღნიშნული სესხის დაფარვის ვადა არის 1 წელი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთით 6.5%.

16. ამონაგები

მარაგების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება გაყიდვის წერტილში, გამომდინარე იქიდან, რომ გაყიდვის ოპერაცია ხორციელდება სავაჭრო ობიექტებში და ჯგუფის მიერ შესასრულებელი ვალდებულება სრულდება საქონლის მომხმარებლებზე „გაყიდვების წერტილში“ გადაცემის მომენტში ფულადი სახსრების მიღების სანაცვლოდ.

საპროექტო, სამონტაჟო და საიჯარო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება შესასრულებელი ვალდებულებების დაკმაყოფილების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებლებთან გაფორმებული გენერალური ხელშეკრულებით.

2022

2021

შპს „ინსტა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

ამონაგები საპროექტო, სამონტაჟო მომსახურებიდან	10,104,150	7,346,736
ამონაგები მარაგის რეალიზაციიდან	9,236,910	7,412,815
შემოსავალი იჯარიდან	342,774	113,032
სულ ამონაგები	19,683,834	14,872,583

17. რეალიზაციის თვითღირებულება

	2022	2021
გამოყენებული მასალები	(5,697,824)	(3,333,435)
გაყიდული მარაგების ღირებულება საცალო რეალიზაციიდან	(4,929,610)	(4,271,167)
პირდაპირი ხელფასები	(2,165,325)	(2,002,803)
მიღებული მომსახურება	(52,025)	(123,937)
სხვა	(27,267)	(42,736)
მოძველებული მარაგები	(4,094)	(218,061)
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	(12,876,145)	(9,992,139)

18. რეალიზაციის ხარჯი

	2022	2021
რეკლამა და მარკეტინგი	(133,662)	(102,869)
მიწოდების ხარჯები	(100,204)	(35,426)
სულ რეალიზაციის ხარჯი	(233,866)	(138,295)

19. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	(2 569 487)	(2 110 089)
ცვეთა და ამორტიზაცია	(708,091)	(691 967)
საკონსულტაციო ხარჯები	(234 877)	(224 509)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(162 413)	(63 422)
იჯარის ხარჯი	(91 773)	(34 412)
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	(57 049)	(261 080)
ბანკის საკომისიო	(51 615)	(46 238)
დაზღვევის ხარჯი	(39 597)	(45 531)
დაცვის ხარჯი	(37 831)	(39 331)
ლიცენზიის ხარჯი	(32 751)	(30 632)
სამეურნეო ხარჯი	(21 900)	(26 628)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(7 147)	(3 987)
რემონტის ხარჯი	(6 692)	(10 374)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(40,411)	(28 296)
სულადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	(4 061 634)	(3 616 496)

20. წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)

	2022	2021
არასაოპერაციო შემოსავალი	1,498,931	58,162
არასაოპერაციო ხარჯი	(10,421)	(70,196)
სულ არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	1,488,510	(12,034)

არასაოპერაციო შემოსავალი შედგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული წმინდა მოგებისგან 1,465,493 ლარის ოდენობით, სადაც გაყიდვის ფასი და წმინდა საბალანსო ღირებულება მიმდინარე საანგარიშო პერიოდისთვის შეადგენს, შესაბამისად, 3,861,768 და 2,396,275 ლარს.

21. წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო ვაჭრობიდან და გადაფასებიდან

	ფული და ფულის ეკვივალენტები	სავაჭრო მოთხოვნები	სავაჭრო ვალდებუ ლებები	სულ 2022
მოგება გაცვლითი კურსის სხვაობიდან	216,819	46,094	11,732	274,645
ზარალი გაცვლითი კურსის სხვაობიდან	(544,067)	(692,911)	(50,111)	(1,287,089)
წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	(327,248)	(646,817)	(38,379)	(1,012,444)

	ფული და ფულის ეკვივალენტები	სავაჭრო მოთხოვნები	სავაჭრო ვალდებუ ლებები	სულ 2021
მოგება გაცვლითი კურსის სხვაობიდან	227,619	189,576	360,383	777,578
ზარალი გაცვლითი კურსის სხვაობიდან	(64,509)	(41,688)	(51,879)	(158,076)
წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	163,110	147,888	308,504	619,502

22. მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის რეფორმის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით (ასევე ცნობილი როგორც კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი), რომელიც ძირითადად გადააქვს დაბეგვრის მომენტს დასაბეგრი მოგების მიღების მომენტიდან. იმ მომენტამდე, როდესაც ისინი ნაწილდებიან. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული საგადასახადო პერიოდებიდან. იმის გათვალისწინებით, რომ ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ანგარიშგების თარიღამდე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები კანონის მოქმედების შემდეგ არ იქნება აღიარებული. საშემოსავლო გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება მოგების განაწილებით, არ იქნება აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა დღგ-სთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში. გადაწყვეტილების მიხედვით, მყიდველისგან წინასწარ მიღებული თანხის ოდენობა უნდა დაეკუმდებაროს დღგ-ს. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საგადასახადო პერიოდებიდან.

მიმდინარე და წინა საანგარიშო წლებში ჯგუფიმ გაანაწილა დივიდენდები და გადაიხადა საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეადგინა შესაბამისად 103,096 და 83,450 ლარი.

23. პირობითი ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ ჯგუფის დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ფლობს საბანკო გარანტიებს სს „საქართველოს ბანკთან“, რომლებიც მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში, საბანკო გარანტიები აღებულია კლიენტებისგან მიღებულ ავანსებთან მიმართებაში ვალდებულებების უზრუნველსაყოფად:

შპს „ინსტა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარებში

ხელშეკრულების ნომერი	ვალუტა	თანხა	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
PE22092345-21	დოლარი	10,673	22-ივნ-2021	30-აგვ-2023
ADV1007342-22	დოლარი	400,000	27-ივლ-2022	24-აგვ-2023
ADV1022922-22	დოლარი	227,420	10-ნოვ-2022	10-თებ-2023

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის არ გააჩნია რაიმე გაუთვალისწინებელი და მატერიალური ვალდებულება, გარდა ზემოთ მოცემულ ცხრილში.

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო“).

ა) პირი ან მისი ოჯახის წევრი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

(i) ეს პირი აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს;

ან

(ii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(iii) არის ანგარიშვალდებული საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

